საგაზეთო ჩანართს გამოსცემს ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“.

მიგრანტი

№1 / 2015

პროექტი – „მიგრანტთა მდგომარეობის გაუმჯობესება აჭარის რეგიონში“

ლევან გობაძე

პროექტი „მიგრანტთა მდგომარეობის გაუმჯობესება აჭარის რეგიონში“ ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირმა „ინტელექტმა“ ახლახან დაიწყო. პროექტი ევროკავშირის მხარდაჭერით ხორციელდება და მიზნად ისახავს აჭარის რეგიონში დაბრუნებული და პოტენციური ეკომიგრანტებისთვის გრძელვადიან პერსპექტივაზე გათვლილი ცხოვრების ღირსეული პირობების ჩამოყალიბების ხელშეწყობას, მიგრაციისა და განვითარების საკითხების დაკავშირებას. ასევე მიგრანტთა ჩართულობის დონის ამაღლებას რეგიონის ეკონომიკური განვითარების პროცესებში. რა შეიცვლება პროექტით ეკომიგრანტების, უკუმიგრირებული მოსახლეობისა და აჭარიდან სხვა ქვეყანაში წასული ემიგრანტებისთვის? ამის შესახებ კითხვებს „ინტელექტის“ გამგეობის თავმჯდომარემ და აღნიშნული პროექტის დირექტორმა ლევან გობაძემ უპასუხა:

„ოცნების ქალაქში“ ჰიგიენის სახლები ამენდება

2012 წელს ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირმა, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მონაწილეობით, შეიმუშავა ხულოს, შუახევის, ქედის, ხელვაჩაურისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმები. მუშაობის პროცესში შეგროვებული იქნა სოციალური და ეკონომიკური ხასიათის დიდი მოცულობის ინფორმაცია, რომლის ანალიზის საფუძველზე ფორმულირებული იქნა ამ მუნიციპალიტეტების სოციალური და ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელი სტრატეგიები.

როგორც ანალიზმა გვიჩვენა, ეკოლოგიური რისკები და მასთან დაკავშირებული მიგრაციული პროცესები შეიძლება იქცეს მნიშვნელოვან შემაფერხებელ ფაქტორად რეგიონის მუნიციპალიტეტების განვითარებისთვის. შესაბამისად, დაისვა საკითხი – შეგვემუშავებინა პროექტი, რომელიც ხელს შეუწყობდა სტიქიური მიგრაციული პროცესების შემცირებას, მიგრანტთა სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

2015 წლის დასაწყისში ჩვენ დავასრულეთ პროექტზე მუშაობა, რომელმაც ევროკავშირის საგრანტო კონკურსში გაიმარჯვა და მოიპოვა დაფინანსება. ივნისდან პროექტის განხორციელება უკვე დაიწყო.

– „ინტელექტმა“ გასულ წელს წარმატებით განახორციელა პროექტი „აჭარის რეგიონში სოციალურად დაუცველთა და ეკომიგრანტთა განსახლების პროცესის მონიტორინგი“. რამდენად დაეყრდნობით ამ პროექტის შედეგად მიღებულ გამოცდილებას?

– დიახ, ჩვენ, ასოციაცია „ბორჯღალთან“ და „დემოკრატიის ინსტიტუტთან“ ერთად განვახორციელეთ ასეთი მონიტორინგი, რომელმაც მოიცვა ყოფილი №25 და №53 სატანკო ბატალიონების ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანები. ასევე ეკოლოგიური მიგრანტები, რომლებიც წალკის მუნიციპალიტეტში არიან ჩასახლებული. მონიტორინგის განხორციელება იყო აუცილებელი წინაპირობა ამ სფეროში არსებული პრობლემების გამოკვეთისა და ხედვების ჩამოყალიბებისთვის არსებულ პრობლემათა გადაწყვეტის გზების შესახებ.

მონიტორინგის შედეგად გამოკვეთა მთავარი პრობლემა, რომელიც შემდეგში მდგომარეობს – სახელმწიფოს და თვითმმართველობის ორგანოებს არ გააჩნდათ სისტემური მიდგომები არსებული პრობლემის გადასაწყვეტად. მათი საქმიანობა ატარებდა ფრაგმენტულ ხასიათს და ძირითადად მიმართული იყო სოციალური დაძაბულობის კერების ნეიტრალიზაციისკენ. ანუ ეს იყო გარკვეული ტაქტიკური ნაბიჯები და არა კომპლექსური ხედვა საკითხის გადასაწყვეტად.

მონიტორინგის შედეგების საფუძველზე გამოიკვეთა ორი ძირითადი საკითხი, რომელიც დაუყონებლივ გადაწყვეტას საჭიროებს:

ა) საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბება, რომელიც შექმნის სამართლებრივ საფუძველს ეკომიგრანტთა პრობლემების გადაწყვეტისათვის;

ბ) ეკომიგრანტების ახალ საცხოვრებელ გარემოში ეკონომიკური და სოციალური ინტეგრაციის ოპტიმალური მოდელების შემუშავება და მათი იმპლემენტაცია.

ჩვენი პროექტი სრულად ეყრდნობა მონიტორინგის დროს მიღებულ შედეგებს და მიმართულია ეკომიგრანტების ახალ საცხოვრებელ გარემოში ეკონომიკური და სოციალური ინტეგრაციის ოპტიმალური მოდელების შემუშავებისა და მათი იმპლემენტაციისაკენ.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენმა პარტნიორმა ორგანიზაციამ – დემოკრატიის ინსტიტუტმა, ასევე მოიპოვა გამარჯვება ევროკავშირის საგრანტო კონკურსში და დაიწყო მუშაობა კანონპროექტზე, რომელიც მოიცავს ეკომიგრაციასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ასპექტებს.

ეს ორი პროექტი ერთობლივად შექმნის იმ უნიკალურ პლატფორმას, რომელსაც, სახელმწიფო ინსტიტუტების მხრიდან მისი გაზიარების შემთხვევაში, შეუძლია შეასრულოს უდიდესი როლი ეკომიგრანტებთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებაში.

– როგორც ვიცით, აჭარის რეგიონში ბევრია ეკომიგრანტი და უკუმიგრირებული მოსახლეობა. პროექტი ორივე კატეგორიის მოქალაქეების მდგომარეობის გაუმჯობესებაზე იქნება ორიენტირებული?

– ეკომიგრანტების რაოდენობით აჭარა პირველ ადგილზეა საქართველოს დანარჩენ რეგიონებთან შედარებით. დიდია როგორც აქ მცხოვრები, ასევე უკუმიგრირებული ეკომიგრანტების რაოდენობა. სამწუხაროდ, ერთი პროექტის ფარგლებში შეუძლებელია ამ კატეგორიის ყველა ადამიანი მოიცვა. ჩვენ ვიმუშავებთ აჭარის რეგიონში მცხოვრებ იმ ეკომიგრანტებთან, რომლებსაც აქვთ სურვილი, მოტივაცია და ნებისყოფა, რომ გამოიდნენ არსებული სოციალური მდგომარეობიდან, საკუთარი შრომითა და ნიჭით დაძლიონ სიღარიბე და გახდნენ საზოგადოების სრულფასოვანი წევრები. ჩვენ შევეცდებით ეს მისწრაფებები გავაღვივოთ ამ ადამიანებში.

– აჭარის რეგიონში ძალზე აქტუალური პრობლემაა შრომითი მიგრაცია უცხოეთში. ამ მხრივ რა ღონისძიებების გატარებას გეგმავს „ინტელექტი?“

– შრომითი მიგრაცია ასევე მეტად მნიშვნელოვანი პრობლემაა აჭარის რეგიონისთვის. ჩვენი თანამემამულეები ძირითადად თურქეთის რესპუბლიკაში მიემგზავრებიან სამუშაოდ. ერთი მხრივ, თურქეთში მუშაობით აღებული ფული, ბევრი მთგანისთვის შემოსავლის ერთადერთი წყაროა. მეორე მხრივ, ეს არის ფიზიკურად მძიმე, არაკვალიფიცირებული, დაბალანაზღაურებადი სამუშაო, რომლის დროსაც მათი დიდი ნაწილი შრომითი ტრეფიკინგის მსხვერპლი ხდება.

ასეთი ფაქტების შესამცირებლად გვინდა ჩავატაროთ ფართომასშტაბიანი საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანია აჭარის რეგიონის მუნიციპალიტეტების თემებში, რაც ხელს შეუწყობს მოსახლეობის ინფორმირებულობის დონის ამაღლებას შრომითი ტრეფიკინგის საფრთხეებთან, საკუთარი უფლებების დაცვის მექანიზმებთან, ლეგალურ დასაქმებასთან დაკავშირებით. ასევე გვინდა ხელი შევუწყოთ ამ ადამიანების პროფესიულ გადამზადებას ისეთ სპეციალობებში, რომლებიც მოთხოვნადია საქართველოში და ჩვენი მეზობელი სახელწიფოს შრომით ბაზარზე. ასეთი მიდგომა საშუალებას მისცემს მათ იპოვონ უფრო მაღალანაზღაურებადი, კვალიფიცირებული სამუშაო ადგილები, არ გახდნენ შრომითი ტრეფიკინგის მსხვერპლი, დაიცვან საკუთარი თავი არაკეთილსინდისიერი დამქირავებლებისგან.

– პროექტი „მიგრანტთა მდგომარეობის გაუმჯობესება აჭარის რეგიონში“ საკმაოდ მასშტაბურია. გყავთ თუ არა პარტნიორები? რა როლი აკისრიათ პარტნიორ ორგანიზაციებს ამ პროექტის განხორციელებაში?

– პროექტი ნამდვილად მასშტაბურია და მოიცავს აჭარის რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტს. პროექტის სირთულე არა მარტო მისი ფართო გეოგრაფიული არეალიდან გამომდინარეობს. პროექტი მოიცავს კომპონენტებს, რომელთა რეალიზაციაც, შეზღუდული ადამიანური რესურსებისა და გამოცდილების გამო, ჩვენს ორგანიზაციას გაუჭირდებოდა. მაგალითად, ეკომიგრანტების სამართლებრივი დახმარება. ჩვენს ორგანიზაციას არ ჰყავს იურისტები, რომლებსაც შეუძლიათ ასეთი დახმარების აღმოჩენა ეკომიგრანტებისათვის. ასევე პროექტის ბენეფიციარებად მოიაზრება ხანდაზმული ადამიანები, რომლებთან მუშაობაც სპეციფიკურ მიდგომებს, გამოცდილებას საჭიროებს. პროექტის ნარმატებით რეალიზაციისთვის ჩვენ ჩამოვაყალიბეთ კოალიცია იმ ორგანიზაციების მონაწილეობით, რომლებსაც გააჩნიათ გამოცდილება აღნიშნულ სფეროებში. ჩვენი პარტნიორები არიან „დემოკრატიის ინსტიტუტი“, რომელსაც გააჩნია უდიდესი გამოცდილება ბენეფიციართა სამართლებრივი დახმარების საკითხებში და ასოციაცია „ღირსეული სიბერე“, რომელსაც აქვს ხანდაზმულ ადამიანებთან მუშაობის უნიკალური გამოცდილება.

– როგორ ფიქრობთ, რა მნიშვნელოვანი შედეგები გვექნება პროექტის განხორციელების შემდეგ?

– რა შედეგებს მივიღებთ, ამას პროექტის რეალიზაციის პროცესი გვიჩვენებს. პროექტი, განხორციელების თვალსაზრისით იქნება რთული, მაგრამ ჩვენი მოლოდინები ოპტიმისტურია.

უპირველეს ყოვლისა შეიქმნება აჭარის რეგიონში სოციალური სახლების მშენებლობისა და განვითარების კონცეფცია, აჭარის მაღალმთიანეთში არსებულ სოციალურ სახლებთან ჩამოყალიბდება სოციალური საწარმოები, რომლებშიც დასაქმდებიან აქ მცხოვრები ადამიანები, 100-მდე ეკომიგრანტი შესძლებს აითვისოს ახალი, შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროფესია, ჩამოყალიბდება მინიმუმ 16 მცირე საწარმო, რომლებშიც ასევე ეკომიგრანტები დასაქმდებიან. ეს ყველაფერი ერთად ხელს შეუწყობს ეკომიგრანტებს სიღარიბის დაძლევაში, მათი მარგინალიზაციის პროცესების შეჩერებასა და საზოგადოებაში ინტეგრაციაში.

P.S. ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“ მორიგი საგაზეთო ჩანართის – „მიგრანტის“ გამოცემას იწყებს.

„მიგრანტი“ მკითხველს სახელწოდების შესაბამისად მიგრანტებზე მოუყვება. საზოგადოებას გააცნობს აჭარის რეგიონში მცხოვრები ეკომიგრანტების, აჭარიდან სხვა ქვეყანაში სამუშაოდ წასული ემიგრანტებისა და უკუმიგრირებული მოსახლეობის ცხოვრებას, მათ პრობლემებსა და პერსპექტივებს.

საგაზეთო ჩანართი „მიგრანტი“ პროექტის – „მიგრანტთა მდგომარეობის გაუმჯობესება აჭარის რეგიონში“ – ფარგლებში გამოდიოს. პროექტის ფინანსური მხარდამჭერია ევროკავშირი.

ვიმედოვნებთ, გაზეთი „მიგრანტი“ საინტერესო იქნება და ბევრი მკითხველი ეყოლება. ჩვენ ორი წელი ვიქნებით თქვენს სამსახურში საინტერესო ინფორმაციებით.

ჩანართი მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, პროექტის „მიგრანტთა მდგომარეობის გაუმჯობესება აჭარის რეგიონში“ ფარგლებში.
ტექსტში მოყვანილი მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს ევროკავშირის ოფიციალურ პოზიციას.

ჩანართის რედაქტორი: თეონა კაპანაძე
მისამართი: ბათუმი, აღმაშენებლის 13
ტელ: 24 16 40; ფაქსი: 24 16 50
მობ: 592 57 18 00
ელფოსტა: info@intellect.org.ge
ვებგვერდი: www.intellect.org.ge